აკადემიური წერის სტანდარტი დოქტორანტებისა და მაგისტრანტებისთვის

აკადემიური წერის სტანდარტი

სარჩევი

I. შესავალი 3
II. კვლევის თემისა და წინასწარი თეზისის შერჩევა 3
III. კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა და დამატებითი კომპონენტები 5
1. ძირითადი კომპონენტები 5
1.1. შესავალი 5
1.2. ძირითადი ნაწილი 5
1.3. დასკვნა 5
2. ბიბლიოგრაფია 5
3. დანართი 6
4. დადასტურება ნაშრომის ორიგინალობის შესახებ 6
IV. შინაარსობრივი სტანდარტები 6
1. აზრის სტრუქტურირება – სისტემური ფორმირება 6
2. დასახული მიზნის მისაღწევად დასმული საკითხის ამოწურვა 6
3. აზრის სრულყოფილად ჩამოყალიბება 7
4. მითითება 7
5. ტექნიკური სტანდარტები 8
V. ლიტერატურა 8

I. შესავალი

კურსის მიზანია სამეცნიერო კვლევის შინაარსობრივი მოთხოვნებისა და ტექნიკური სტანდარტების შესწავლა.

ზოგადი პოსტულატი – ნაშრომს უნდა ახასიათებდეს სიახლე და წვლილი შეჰქონდეს შესაბამისი დარგის განვითარებაში – არის სამეცნიერო ნაშრომისადმი წაყენებული ძირითადი, მაგრამ არა ერთადერთი, მოთხოვნა.

ავტორის კვლევა უნდა იყოს მკითხველზე ორიენტირებული და მიღებული კვლევის შედეგი წვლილს შეიტანას დარგის განვითარებაში, თუ ის დამაჯერებელი, სანდო იქნება.

მკითხველისთვის დამაჯერებელია კვლევა, თუ ავტორი სრულად იცავს
(შესაბამისად, სრულყოფილად ფლობს) სამეცნიერო კვლევის სტანდარტებს.

ავტორმა მკითხველს უნდა შეთავაზოს ტექნიკურად გამართული ნაშრომი. სავალდებულოა აკადემიური პატიოსნების სტანდარტის დაცვა. ამასთან, ტექნიკური უზუსტობები მიუთითებს ავტორის ზედაპირულობაზე და წარმოშობს ვარაუდს, რომ მას შესაძლებელია გამორჩენოდა მნიშვნელოვანი დეტალი. მკითხველი იძულებულია, სრულად გადაამოწმოს ავტორის მიერ მიღებული შედეგისკენ მიმავალი გზა, დაკარგოს დრო.

II. კვლევის თემისა და წინასწარი თეზისის შერჩევა

კვლევის დასაწყისში ავტორმა სასურველია, თანმიმდევრობით:

- განსაზღვროს თავისი ინტერესის სფერო
- გამოკვეთოს საკუთარი შედარებითი უპირატესობა
- მოძებნოს აქტუალური თემა
- დასახოს კვლევის მიზანი
- ჩამოაყალიბოს წინასწარი თეზისი (დასკვნა) და
- საწყის ეტაპზევე მაქსიმალურად დეტალურად გადაამოწმოს იგი.

კვლევის თემა უნდა იყოს საკმარისად ფართო, რათა იყოს საინტერესო, პრაქტიკული მნიშვნელობის და, ამავე დროს, საკმარისად ვიწრო, რომ მოხდეს მისი ადეკვატურად შესწავლა. საკითხი უნდა იყოს ამოწურვადი.

ნაშრომის სათაური უნდა იყოს ინფორმაციული თვალსაზრისით ზუსტი, ტექსტის შესაბამისი, ამავე დროს, ლაკონიური.

თეზისის სიახლე ვლინდება დარგში არსებულ ცოდნასთან მიმართებით. არ არის საკმარისი, თეზისი ახალი იყოს ავტორისთვის. ნაშრომის ორიგინალურობა არ შემოიფარგლება იმით, რომ ის ავტორის მიერ არის შესრულებული. იგი შესაბამის სფეროში არსებულ ცოდნას უნდა აფართოებდეს.

დასაშვებია უკვე არსებული გადაწყვეტის ახალი დასაბუთება. ამ დროს სიახლე ვლინდება სწორედ დასკვნისკენ მიმავალ გზაში.
თეზისი არ უნდა იყოს თავისთავად ცხადი. ასეთ შემთხვევაში სიახლეს აზრი ეკარგება. მკითხველი იმავე დასკვნას ავტორის კვლევის გარეშეც გააკეთებს.

თეზისი უნდა იყოს ღირებული, ანუ პრაქტიკული მნიშვნელობის. ეს ზრდის პოტენციურ მკითხველთა რაოდენობას და ნაშრომს სიცოცხლეს უხანგრძლივებს.

სასურველია ძირითადი თეზისის ერთ წინადადებაში მოქცევა. თეზისებს ყოფენ აღწერილობითად და მითითებითად.

აღწერილობითი თეზისი თვალსაჩინოს ხდის "იყო" და "არის" მდგომარეობას (შესაძლებელია, გამოთქვამდეს ვარაუდს სამომავლო შედეგის შესახებ), ასეთია, მაგალითად: ისტორიული წყაროს შესწავლა, მასში გარკვეული კანონზომიერების გამოკვეთა, კანონის მიღების შედეგი, სასამართლოს მიერ ცალკეული ნორმის განმარტება.

მითითებითი თეზისი შეეხება "უნდა იყოს" მდგომარეობას, ანუ, მაგალითად, როგორ უნდა შეიცვალოს ან განიმარტოს კანონის ნორმა. კარგად ფორმულირებული თეზისი მოიცავს ორივეს: მაგალითად, აღწერს, თუ რა პრაქტიკული პრობლემები მოჰყვა ცალკეული ნორმის მიღებას და მიუთითებს პრობლემის გადაჭრის გზაზე.

კვლევის სფეროს შერჩევისას ავტორი გამოკვეთს თავისი ინტერესის სფეროს. ამასთან, სასურველია მისი "შედარებითი" უპირატესობის გამოყენება. ე. წ. დოქტრინული კვლევა უნივერსალური საშუალებაა. მას სჭირდება ღრმა თეორიული ცოდნა კვლევის სფეროში. ნაშრომში ემპირიული კვლევის ინტეგრაცია აფართოებს შედეგის პრაქტიკულ გამოყენებადობას, თუმცა ხშირად მოითხოვს დამატებით პრაქტიკულ გამოცდილებას.

თემის შერჩევისას სასურველია ხელმძღვანელთან კონსულტაცია, სხვა პროფესორების, პრაქტიკოსებისა და კოლეგების აზრის მოსმენა. შესაძლებელია, შერჩეული თემა უკვე ფართოდ დამუშავებული ან არასათანადოდ ვიწრო იყოს.

III. კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა და დამატებითი კომპონენტები

ნაშრომი უნდა შედგებოდეს:

- სატიტულო ფურცლის
- სარჩევის (შინაარსის)
- გამოყენებული აბრევიატურების ნუსხისაგან
- შესავალი ნაწილისგან
- ძირითადი ნაწილისაგან
- დასკვნისაგან და
- ბიბლიოგრაფიისაგან
- (აუცილებლობის შემთხვევაში) დანართისგან.

1. ძირითადი კომპონენტები

1.1. შესავალი

შესავალში ყურადღება მახვილდება შესასწავლი საკითხის აქტუალობაზე, დასახულ მიზანზე, გამოყენებული კვლევის მეთოდსა და ნაშრომის სტრუქტურის აღწერაზე. მნიშვნელოვანია პრობლემის დანახვა და საკითხის მკაფიოდ დასმა.

1.2. ძირითადი ნაწილი

ძირითადი ნაწილში, უშუალოდ დასახული მიზნიდან გამომდინარე, ხორციელდება კვლევა და ანალიზი.

1.3. დასკვნა

დასკვნაში ჯამდება (შესავალში) დასახული მიზნის მისაღწევად ჩატარებული კვლევის შედეგები.

2. ბიბლიოგრაფია

ბიბლიოგრაფიაში მიეთითება გამოყენებული ლიტერატურა. ამასთან, მიზანშეწონილია, მკაფიოდ გაიმიჯნოს: გამოყენებული ნორმატიული მასალა, სასამართლო გადაწყვეტილებები, სამეცნიერო ლიტერატურა და სხვა დამხმარე მასალები (მაგ. ცნობარი, ლექსიკონი და ა.შ.).

სამეცნიერო ლიტერატურის ნაცვლად სახელმძღვანელოზე მითითება ცხადყოფს ნაშრომის ზედაპირულობას. შეუძლებელია, სახელმძღვანელოსათვის დამახასიათებელი საკითხის წარმოჩენის სიმარტივე იყოს კვლევის შედეგად მისაღწევი სიღრმის ადეკვატური.

3. დანართი

აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია დამხმარე ინფორმაციის დანართის სახით წარმოდგენა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ღირებულია შესწავლილ საკითხთან ურთიერთკავშირში მყოფი, მხოლოდ უცხოურ ენაზე ხელმისაწვდომი ნორმატიული, სასამართლო პრაქტიკისა თუ სხვა ანალოგიური მნიშვნელობის მასალის თარგმანის შესრულება.

4. დადასტურება ნაშრომის ორიგინალობის შესახებ

ნაშრომის ავტორი ვალდებულია, მიუთითოს, რომ ნაშრომი შესრულებულია მის მიერ, არ გამოუყენებია ლიტერატურა სათანადო მითითების გარეშე და აცნობიერებს სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში მისი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

წერილობითი დადასტურება ასევე უნდა შეიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის სათაურის ინგლისურენოვან თარგმანს.

IV. შინაარსობრივი სტანდარტები

1. აზრის სტრუქტურირება – სისტემური ფორმირება

მეცნიერისთვის საინტერესოა არა მხოლოდ კვლევის შედეგი, არამედ შესაბამისი დასკვნებისკენ მიმავალი გზაც. ხშირად კვლევის მეთოდი მნიშვნელოვანი ბერკეტია ნაშრომის ღირებულების შესაფასებლად. არანაკლებ მნიშვნელოვანია აზრის სტრუქტურირებულად ზუსტი გადმოცემა: შესწავლილ საკითხთა წრესა და თანმიმდევრობას ლოგიკური ახსნა უნდა ჰქონდეს. თითოეული თავი მკითხველს უნდა აახლოებდეს ნაშრომის შესავალში დასახულ მიზანთან. მას არ უნდა გაუჩნდეს შეგრძნება, რომ დროს კარგავს.

2. დასახული მიზნის მისაღწევად დასმული საკითხის ამოწურვა

ნაშრომი მხოლოდ მაშინ ჩაითვლება სრულყოფილად, თუ ავტორი არსებითად ამოწურავს დასმულ საკითხს, სრულად მიმოიხილავს შესაბამის საკითხთან მიმართებით არსებულ ხელმისაწვდომ ლიტერატურას და დასკვნის სახით წარმოაჩენს სიახლეს შესაბამისი საკითხის შესწავლა-განვითარებაში.

3. აზრის სრულყოფილად ჩამოყალიბება

დამკვიდრებულია მცდარი მოსაზრება, რომ სამეცნიერო ენა რთული უნდა იყოს. ხშირია მიდრეკილება რთული წინადადების აგებისადმი. პირიქით, ნაშრომის სიმდიდრე ვლინდება აზრის ლაკონიურად გადმოცემაში. მნიშვნელოვანია, აზრი იყოს ღრმა, ხოლო გადმოცემული მაქსიმალურად მარტივი ენით.

სამეცნიერო ნაშრომის ავტორი უნდა ერიდოს მაღალფარდოვან ფრაზებს. ავტორმა არ უნდა გამოიყენოს არცერთი ზედმეტი სიტყვა. ზედმეტი სიტყვა ქმნის აზრის არასწორად გაგების საფრთხეს. ის ყურადღებას უდუნებს (უფანტავს) მკითხველს და შესაძლებელია, მისი ყურადღება მნიშვნელოვნიდან უმნიშვნელოზე გადაიტანოს. ხშირად მკითხველი "ნეიტრალური" სიტყვის მიღმა ეძებს შინაარსს, რომელიც ავტორს არ უგულისხმია. ასევე მაღალფარდოვანი ბუნდოვანი ფრაზა ხანდახან შეუძლებელს ხდის ავტორის სათქმელის გარკვევას.

მნიშვნელოვანია სწორი კავშირების გამოყენება. სწორი კავშირი კრავს ტექსტს და საკითხების თანმიმდევრული და სწორი აღქმისათვის შეუცვლელია. ის დამატებითი ბერკეტია სხვადასხვა წინადადების დაწერის მიზნის გასარკვევად. მაგალითად, სიტყვა "უპირველესად" მიუთითებს მსჯელობის საწყისს, პირველ არგუმენტს, "შემდგომ" - მომდევნო არგუმენტს, "დაბოლოს" ასრულებს ტექსტს დამაგვირგვინებელი არგუმენტით. "შემდგომის" ნაცვლად, უმეტეს შემთხვევაში, შესაძლებელია სიტყვების "აგრეთვე" ან "ასევეს" გამოყენება. კონტრარგუმენტს ასევე წინ უძღვის ყურადღების გამამახვილებელი სიტყვა, მაგალითად: "ამასთან", "თუმცა". როდესაც ავტორს სურს ორი ურთიერთდაკავშირებული
არგუმენტის გამოყენება, მკითხველის ყურადღების გამახვილება ხდება "ერთი მხრივ" და "მეორე მხრივ" გამოყენებით.

უპირატესობა ენიჭება მოკლე წინადადებებს. თუმცა აზრის სიზუსტე ფრაზის სიმარტივის მსხვერპლი არ უნდა გახდეს.

4. მითითება

სათანადოა მითითება, თუ ნებისმიერი ციტატა მოცემულია ბრჭყალებში და

სქოლიოს სახით მითითებულია მისი ავტორი, ნაშრომი, (კრებული), (გამოცემა), გამოქვეყნების ადგილი ანუ ქალაქი, გამომცემლობა, გამოქვეყნების წელი და გვერდი. პერიფრაზის შემთხვევაში ან ცალკეული აზრის ფორმირების წყაროს მითითებისას გამოიყენება შესაბამისი სიტყვა: "იხილე" ან "შეადარე". ამასთან, "იხილე"-საგან განსხვავებით "შეადარე" შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განსხვავებულ აზრზე მითითებისას.

ძირითად ტექსტში დასაშვებია მხოლოდ ნაშრომის სათაურთან უშუალო კავშირში ან დასახული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანი ინფორმაციის თუ ანალიზის მოყვანა. დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მიეთითოს სქოლიოში.

უცხოენოვანი ტერმინები და გამოთქმები დასაშვებია მოცემულ იქნეს სქოლიოს სახით, თუ ნაშრომის უშუალო მიზანი არ არის ტერმინის წარმოშობის დადგენა.

5. ტექნიკური სტანდარტები

სამაგისტრო ნაშრომის საორიენტაციო მოცულობა შეადგენს 10000 სიტყვას, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ტექსტი კი, მინიმუმ - 30000 სიტყვას, შესრულებულ უნდა იქნეს “AcadNusx"-ით ან “Sylfaen”-ით, შრიფტის ზომა - 12 (სქოლიო - 10), სამაგისტრო ნაშრომი შესაძლოა შესრულდეს შრიფტის ზომა - 11 (სქოლიო - 9). სტრიქონებს შორის მანძილი - 1.15. ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის 80 გ/მ2 სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა წარმოებს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ნახაზები და ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნეს A4 ფორმატის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე. მინდორი - მარცხენა მხარე – 2 სმ, მარჯვენა მხარე – 4 სმ, ზემოდან და ქვემოდან 2,5 სმ.

საგანმანათლებლო პროგრამით შესაძლოა დადგენილ იქნეს დამატებითი/განსხვავებული მოთხოვნები.

V. ლიტერატურა

ძირითადი ლიტერატურა**:**

- Volokh, Eugene, Academic Legal Writing: Law Review Articles, Student Notes, Seminar Papers, and Getting on Law Review, New York (Foundation Press), 3. ed., 2007 (ხელმისაწვდომია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში).
- Garner, Bryan A., Exercises from Legal Writing in Plain English, Chicago

(University of Chicago Press), 2001 (ხელმისაწვდომია: www.press.uchicago.edu).

- Theisen, Manuel Rene, Wissenschaftliches Arbeiten, Technik – Methodik – Form, Muenchen (Vahlen), 10. Aufl., 2002. (7. Aufl., 1993 ხელმისაწვდომია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში).

ასევე, აქტუალური გამოცემები:

- Theisen, Manuel Rene, ABC des wissenschaftlichen Arbeitens, Erfolgreich in Schule, Studium und Beruf;
- Bänsch, Axel, Wissenschaftliches Arbeiten, Seminar- und Diplomarbeiten; Franck, Norbert, Die Technik wissenschaftlichen Arbeitens. Eine praktische Anleitung;
- Eco, Umberto, Wie man eine wissenschaftliche Abschlußarbeit schreibt. Doktor-, Diplom- und Magisterarbeit in den Geistes- und Sozialwissenschaften;
- Esselborn-Krumbiegel, Helga, Von der Idee zum Text. Eine Anleitung zum wissenschaftlichen Schreiben;
- Karmasin, Matthias, Die Gestaltung wissenschaftlicher Arbeiten;
- Rossig, Wolfram E., Wissenschaftliche Arbeiten.

საერთაშორისო ორგანიზაციები**:**

- Legal Writing Institute, http://www.lwionline.org
- Association of Legal Writing Directors, http://www.alwd.org
- AALS Section on Legal Writing, Reasoning, & Research, http://law.pace.edu/aals
- Scribes (The American Society of Writers on Legal Subjects), http://www.scribes.org
- ABA Section on Legal Education and Admission to the Bar, Communication Skills Committee, http://www.abanet.org/legaled/committees/committees.html

პუბლიკაციები:

- ABA Sourcebook on Legal Writing Programs, http://www.abanet.org/abastore/index.cfm
- Legal Writing, The Journal of the Legal Writing Insitute, http://www.lwionline.org/publications/lwijournal.asp
- The Scribes Journal of Legal Writing, http://www.scribes.org/publications.html#scribes
- AALS Section newsletter, http://law.pace.edu/aals/past.html

დამატებითი ინფორმაცია:

http://jurist.law.pitt.edu/sg_resch.htm